

გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

## თურქული ისლამური ორბანიზაციების მოდვაჭურბა თანამედროვე საფრანგეთში

(ზოგადი მიმოხილვა)

დღევანდელ საფრანგეთში ისლამი ერთმნიშვნელოვნად მეორე რელიგიად აღიქმება. ფრანგულა – ისლამი საფრანგეთში ან ფრანგული ისლამი, რომელიც გაჩნდა ქვეყნის სინამდვილეში, ადასტურებს არსებულ სიტუაციას და ხვალინდელ პრობლემებზე მიგვანიშნებს. 4,2 მილიონმა მუსლიმმა, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს, საბოლოოდ თქვა უარი სამშობლოში დაბრუნებაზე. ამ გადაწყვეტილებამ მათ წინაშე დააყენა აღტერნატივა: ინტეგრაცია (ასიმილაცია) თუ განცალკევებული თემის შექმნა.<sup>1</sup>

საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმები ამ ქვეყნის მოსახლეობის 1/3-ს შეადგენენ. მუსლიმთა ამ რაოდენობის 38% არ იცავს ისლამის წესებს, ბევრი მათგანი კი საერთოდ ურწმუნოა. ქვეყანაში მცხოვრებ მუსლიმთა უდიდეს ნაწილს არაბები შეადგენენ (ძირითადად ალჟირელები და მაროკოელები), მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველა არაბი მუსლიმი არ არის (ლიბანელი ქრისტიანები, პალესტინელთა გარკვეული ნაწილი, ბერბერები). ასევე, ყველა მუსლიმი არაბი როდია (ემიგრანტები შავი აფრიკიდან და თურქები). ამ უმნიშვნელო ცნობებიდანაც ჩანს, რომ ისლამი საფრანგეთის სინამდვილეში ერთგვარი კომპოზიტია, რომლის შემადგენელ ნაწილთაგან, პირველ რიგში, ადსანიშნავია მუსლიმთა გეოგრაფიული წარმოშობა და აგრეთვე მათი განსხვავება ადათ-წესების შესრულებისა და დაცვის თვალსაზრისით. აქევე ვიტყვით, რომ ქვეყანაში მცხოვრებ მუსლიმთა 93% სუნიტია (ტრადიციის ხალხი), ხოლო 7% შიიტი<sup>2</sup> ანუ ეს არის ეთნო-რელიგიურად განსხვავებული საზოგადოება, რომელიც XX საუკუნის 70-იანი წლების დამლევამდე ერთგვარ მარგინალურ საზოგადოებად მოიაზრებოდა.<sup>3</sup> და თუ გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ისლამს (მუსლიმ ემიგრანტებს) ფრანგული საზოგადოება პრაქტიკულად ვერ არ ამნიერდა, 1975 წლიდან ფრანგები ქვეყანაში ისლამის საჯარო დეკლარირების მოწმენი ხდებიან, რასაც ერთბაშად მოყვა ისლამური ორგანიზაციების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. 1983 წლიდან საფრანგეთში 1000-ზე მეტი მეტეთი და სალოცავად სპეციალურად მოწყობილი ადგილი

მოქმედებს, აქტიურად მოღვაწეობს 600-ზე მეტი ისლამური ორგანიზაცია, ხოლო პარიზში დღეში ხუთჯერ ადგილობრივი რადიოთი მუემინი მართლმორწმუნებებს მოუწოდებს, ილოცონ.<sup>4</sup>

მუსლიმთა იმიგრაცია დღევანდელი ფრანგული (ევროპული) საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, იმ საზოგადოებისა, რომელიც ჯერ კიდევ იმდეს არ კარგავს, რომ განსხვავებულ კულტურათა ურთიერთშედწევის პროცესი დადებითად იმოქმედებს მის განვითარებაზე, რომ იმიგრანტთა მომდევნო თაობები ბევრად განსხვავებული იქნებიან გუშინდელი და დღევანდელი თაობებისაგან: უფრო ურბანიზებული, განათლებული, დია, და, რაც მთავარია, უფრო ტოლერანტული განსხვავებული ცნობიერების მიმართ. ეს მიუხედავად იმისა, რომ იგივე საზოგადოება აშკარად ხედავს და გრძნობს, რომ 4,2 მილიონი მუსლიმის ინტეგრაციას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პირველ რიგში, მათი რელიგია ეღობება. ისლამი ევროპული საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელ სამართლებრივ, მორალურ და ეთიკურ ნორმებს მოიცავს, იგი ხელისუფლების და განათლების სეკულარიზაციის წინააღმდეგია (იქნებ ამიტომაცაა, რომ არც ერთი არაბული ქვეყანა არ მიეკუთვნება განვითარებული ქვეყნების რიცხვს).

ალბათ იდეალური იქნებოდა ისლამის "გაცივილიზება" ევროპული თავისუფლების, მეცნიერებისა და ხელოვნების სამყაროში, რისთვისაც მან საკუთარი გზები თუ საშუალებები უნდა იპოვოს. ერთ-ერთ ასეთ გზას განათლება წარმოადგენს. თუმცა ამ პროცესს ჭირდება უდიდესი ხელშეწყობა, რომლის გარეშეც იგი ვერასდროს განვითარდება. შემთხვევით არ არის ისლამის პაოლოგებების რწმენა, რომ 20-25 წლის შემდეგ საფრანგეთი ისლამური ქვეყანა გახდება. ამ რწმენის განმტკიცებას ხელს უწყობს მრავალი ფაქტი: იიდ-ალ ქებირის (მსხვერპლის შეწირვის) დღესასწაულის დროს მთელ ქვეყანაში ბატქების მასიური რიტუალური კვლა; პარიზის, ლიონის, მარსელის ქუჩებში ასობით მუხლჩაკეცილ მუსლიმთა ლოცვა; საეციალური ფერმების, სასაქლაოების, პალალი საქონლის მაღაზიების,

მოქმედი მედრესეებისა და ყურანის შემსწავლული ჯგუფების არსებობა.

საფრანგეთში მუსლიმთა საკმაოდ დიდ პროცენტს შეადგენს თურქელი თემი, რომელსაც თავიდანვე სწრაფი ზრდის ტენდენცია ჰქონდა: 1960 წელს 111 მუშა, 1974 წელს - 18 628 (ამ წელს საფრანგეთის მთავრობამ შეცვალა ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, საემიგრაციო პოლიტიკა ჩამოაყალიბა).<sup>5</sup> 1999 წელს ქვეყანაში უკვე 274 747 თურქი ცხოვრობდა.<sup>6</sup>

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქები კურაპაში (მაშინდელ დასავლეთ გერმანიაში) 1960-1961 წწ.-ში გამოჩნდნენ, როგორც დაქირავებული შავი მუშები. ეს იყო ე.წ. "უცოლოთა" ემიგრაცია, რომელიც დაასაქმეს მრეწველობის უაღრესად მძიმე და მავნე დარგებში. თავიდან მათ განიხილავდნენ, როგორც "მოწვეულ" მუშებს, რომელთაც ერთადერთი მიზანი ჰქონდათ: დაეგროვებინათ გარკვეული კაპიტალი, 4-6 წლიწადში სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და საკუთარი ბიზნესი დაეწყოთ. მაგრამ 1970-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც გეომეტრიული პროგრესით გაზრდილმა ემიგრანტების რაოდნობამ ძალზე დიდ რიცხვს მიაღწია, "მიმდები" ქვეყნებისათვის ნათელი გახდა, რომ მათი (თურქების) ევროპაში დროებითი ყოფნა მითი აღმოჩნდა. თურქების დიდმა უმრავლესობამ უარი თქვა სამშობლოში დაბრუნებაზე. ამ დროისათვის ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ პოლანდიაში, დანიაში, შვედეთში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, ნორვეგიაში და ა.შ. სწორედ მათ გამოჩენას უკავშირდება ევროპაში ისლამის "რეანიმაცია", რომელსაც მექეთების მოწყობისა და მრავალი სხვადასხვა ხასიათის თუ მიმართულების ისლამური ორგანიზაციის შექმნა-დაფუძნება მოყვა.

ეს ორგანიზაციები შეიქმნა და მოქმედებს 1901 და 1908 წლების კანონების საფუძველზე, რომელთა მიხედვით, ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელთა ყველა უფლებაა დაცული. ადსანიშნავია, რომ თურქებმა ეს კანონები 1981 წლის სექტემბერში ანუ ევროპაში მათი გამოჩენის 20 წლის თავზე "გამომამზეურებს", როდესაც თურქელი ემიგრაცია ძლიერ და მრავალრიცხოვან თემად ჩამოყალიბდა.<sup>7</sup> თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ თურქებმა მოახდინეს ევროპაში ისლამის დეკლარირება. მანამდე ისლამი "დამალული" იყო ქარხნებსა და ფაბრიკებში, გეტოებსა და ბიდონიერებში, ხოლო მუსლიმთა არსებობა ქვეყანაში მხოლოდ მათი დღესასწავლების დროს მედავნდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში მუსლიმთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, მათ არასდროს უცდიათ თავისი კონფესიური კუთვნილების საჯაროდ გაცხადება. ეს თურქების შემოსვლას მოყვა.<sup>8</sup>

1990 წლის 10 მარტის თურქელი პროისლამური გაზეთი Zaman (დრო) წერდა: "დღეს ევროპის ქვეყნებში სოციალური, რელიგიური და საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად წინასწარ დასახული მიზნებით იქმნება თურქელი ისლამური ორგანიზაციები, რომლებიც უცხოეთში მცხოვრებ საკუთარ ოჯახებს, სახლებს, ნათესავ-მეგობრებს მოწყვეტილ თურქებს ეხმარებიან არ დაივიწყონ თავიანთი მოვალეობა ისლამის წინაშე და არ მოექცენებ უცხო კულტურის თუ რწმენის გავლენის ქვეშ" (ეს გაზეთი, რომელიც თურქელი ისლამის უდიდესი პროპაგანდისტის, ფეთულა გიულენის რეპორტი და რომლის უკან თურქეთში აკრძალული ისლამისტურექსტრემისტული მოძრაობა "ნურჯუ" დგას, ყველაზე აქტიურად იძრძოდა ბაზალეთის ტბაზე ე.წ. შავი ზღვის უნივერსიტეტის გახსნისათვის. მიუხედავად ქართული საზოგადოებრიობის ძლიერი პროტესტისა, ამ ე.წ. უნივერსიტეტის ამოქმედებას ხელი შეუწყო საქართველოს ხელისუფლებამ - გ.ა.).

ეს ორგანიზაციები თურქებით დასახლებულ რაიონებში არსდებოდა და ფაქტობრივად ისლამის "სახეს" წარმოადგენდა (მეჩეთები, სკოლები, აუცილებელი იმამი და სხვ).<sup>9</sup> მათი ძირითადი მიზანი იმიგრანტთა მეორე და მესამე თაობებში ისლამის გავრცელება და განმტკიცება იყო. პარალელურად მათ აღილობრივი (პრეფექტურა, მუნიციპალიტეტი) ხელისუფლებასთან ოფიციალური შუამავლის ფუნქციაც იტვირთეს (ამ ფუნქციას აღრე "მიმდები" ქვეყნის მემარცხენე პარტიების რეგიონალური სტრუქტურები ასრულებდნენ).<sup>10</sup> მათთან თანხმდება იმიგრანტთა სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრების ყველა საჭიროობო საკითხი - იქნება ეს საპირველმაისო მანიფესტაციაში მონაწილეობა, სალოცავით თახის მოწყობა, გაფიცვა, დემონსტრაცია თუ შიმშილობა თურქეთის მთავრობის საშინაო პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშანად.<sup>11</sup>

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 1980 წლამდე საფრანგეთში 15 ასეთი ასოციაცია მოქმედებდა, ხოლო 1985 წლისათვის ქვეყნის რეგიონალურ სტრუქტურებში რეგისტრაცია 87-მა გაიარა.<sup>12</sup> სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ინფორმაცია არალეგალურად მოქმედ ორგანიზაციებზე, რომელთა არსებობას საფრანგეთში თავად იმიგრანტები არ უარყოფნ.

საფრანგეთში (ევროპაში) ჩამოყალიბებულ თურქელ თემს შეადგენენ ანატოლიიდან, თრაკიიდან, კვიპროსიდან და ბალკანეთის ნახევარკუნძულის რეგიონიდან გამოსული თურქები, რომელთა შორის ეთნიკური თურქების გარდა ქურთებს, თათრებს (ყირიმის, ყაზანის), ყაზახებს, ასირო-ქალდეებებს, ლაზებს, ჩერქეზებს, თურქმენებს, ყირგიზებს<sup>13</sup> და ქართველებსაც კი გხვდე-

ბით. ეს ეთნიკურად განსხვავებული მასა "მიმდები" ქვეყნის ოფიციალური საემიგრაციო ოფიციალური სხვა სამსახურების მიერ განიხილება როგორც ერთიანი თურქული თემი, რასაც ემიგრანტები ხშირად არ ეთანხმებიან და ეს მათ მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების სახელწოდებებიდანაც ჩანს. ასე მაგალითად, სახელწოდებაში გამოტანილი განმარტება "de Turquie" ან მისი თურქული ეკვივალენტი "Türkiyeli" ხაზს უსგამს, რომ მისი წევრები თურქეთიდან არიან, თუმცა ეროვნებით შესაძლოა არც იყონ თურქები.<sup>14</sup>

1970-80-იანი წლების ეპოდაში ისლამურ, მათ შორის თურქულ, კულტურულ ცენტრებს (აუცილებელი სალოცავი ოთახით) მუსლიმური ორგანიზაციები აარსებდნენ. ეს ასოციაციები ქმნიდნენ ფართო ორგანიზაციულ ქსელს, რომელიც ნავთობით მდიდარი არაბული ქვეყნების (საუდის არაბეთი, ქუვეითი, ერაყი) მიერ ფინანსდებოდა. მომდევნო წლებში კი თურქული ისლამური ორგანიზაციების და შესაბამისად კულტურული ცენტრების დამფუძნებლად საკუთრივ თურქული ისლამური მოძრაობა გვევლინება. ეს ასოციაციები თუ ცენტრები მოქმედებენ როგორც იმიგრანტთა სოციალური ინტერესების დამცველნი (სხვა პრეტენზიები ამ ეტაპზე მათ არ აქვთ). მათი წარმატებული მოღვაწეობა ბევრად არის დამოკიდებული სელმძღვანელების მიერ არჩეულ ტაქტიკაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის რიგითი წევრების რაოდენობის ზრდა. ეს ასოციაციები დაკავშირებული არიან ევროპაში და თურქეთში მოქმედ მონათხევე თურგანიზაციებთან, რომლებიც მათ აფინანსებენ. ისინი მოქმედებენ არსებულ ქსელში, რომელიც ცილდება ადგილობრივ მასშტაბს და გავრცელებულია ევროპის "მიმდებ" სივრცეში. მათი შექმნის და მოქმედების აქტიური პროცესი აიხსნება, პირველ რიგში, იმით, რომ მათ მიერ ყოველი თურქი მიგრანტი მოიაზრება ორგანიზაციის პოტენციურ წევრად.

ქმარისტური რევოლუციის შემდეგ ისლამმა თურქულ სინამდვილეში ძალზე სპეციური ადგილი დაიკავა. ამ ფაქტმა წარმოშვა ერთგვარი ვარაუდი, რომ ისლამმა დაკარგა გარევეული საზოგადოებრივი ფუნქცია და მეცნიერად "დაიხია" პირადული სფეროსაკენ, რამაც იგი თურქულ სინამდვილეში ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოველების ერთგვარ თაოზიციურ დანამატად აქცია.<sup>15</sup>

თურქეთი პირველი მუსლიმური ქვეყანაა, რომელმაც გამოაცხადა, რომ ის საერო რესპუბლიკაა, რის შედეგადაც ქვეყანაში რელიგიური ცხოვრებაზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლი დაწესდა. თურქეთის სამთავრობო სტრუქტურაში შეიქმნა "რელიგიის საქმეთა სამინისტრო" (Diyanet İşleri Bakanlı), რომელმაც უნდა მოაწესრიგოს და

გააკონტროლოს ყველა ოფიციალურად რეგისტრირებული რელიგიური სამსახური (ორგანიზაცია), მოამზადოს და გაამწესოს იმამები და კულტის სხვა მსახურები (თურქეთში და მის ფარგლებს გარეთ) ანუ უზრუნველყოს ე.წ. "ოფიციალური" ისლამის ფუნქციონირება. ამის პარალელურად, (შეიძლება ითქვას საპირისპიროდ), ქვეყანაში ჩამოყალიბდა პოლიტიზირებული ისლამის მიმდინარეობა, რომელმაც თავისი მოღვაწეობა საერო წყობის პოლიტიკურ თაოზიციად განსაზღვრა. მისი ორგანიზაციების დიდი ნაწილი თურქეთში აკრძალული იყო, ხოლო მათი ლიდერები და წევრები იდევნებოდნენ. ამის გამო XX საუკუნის 60-70-იან წლებში ქვეყნიდან გასულ ემიგრანტებთან (ძირითადად ეონომიკური ემიგრაცია) ერთად ევროპაში აღმოჩნდა თურქული პოლიტიკური ემიგრაციის 10 000-კაციანი არმია, რომელსაც "მიმდები" ქვეყნების სივრცეში (ეს კი თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა) ბევრად უფრო თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა მიეცა. ამ მოღვაწეობის შედეგად საფრანგეთში (ევროპაში) დაფუძნდა უამრავი თურქული ისლამური თუ ისლამურ-პოლიტიკური ასოციაცია (ორგანიზაცია), რომლებიც ხშირად როგორც შეტოქებენ ერთ ტერიტორიულ არეში მოქმედებენ. თავიანთი იდეების გასაკვრცელებლად ისინი კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს იყენებენ და მუდმივად ზრუნავენ თურგანიზაციის რიგების ზრდაზე. მათი მეტოქეობა განპირობებულია იმით, რომ ისინი სხვადასხვა მიმართულების ისლამისტური თუ პოლიტიკური მოძრაობების მიერად შექმნილი. ამ საკმარის ჭრელ სპექტრში წარმოდგენილია თურქეთის კომპარტია, თურქული მარქსისტულ-ლენინური პარტია, უკიდურესად მემარცხენე პროფესაშირი DISK, ქურთების, მარისტების და ენვერ ხოჯას მიმდევარი "ალბანელი თურქების" მოძრაობები.<sup>16</sup> გარდა ამ პროგრენტისტური და მემარცხენე ექსტრემისტული გაერთიანებებისა, საკმარის ძლიერ მოძრაობას წარმოადგენს ნაციონალისტური ორგანიზაციები, რომელთა შორის უნდა დასახელდეს პანთურქისტული "სახალხო მოძრაობის პარტია" (Milli Hareket Partisi), რომელსაც 1984 წლიდან "შრომის სახალხო პარტია" (Milli Çalışma Partisi) ეწოდება, ფუნდამენტალისტური ისლამის ასოციაცია "ეროვნული ხედვა" (Milli Görüş), თანამედროვე თურქული ექსტრემისტული სამმოები "სულეიმანჯი" (Süleymani), "ნურჯუ" (Nurcu), "კაფლანჯი" (Kaplancı).<sup>17</sup> ყველა ამ და კიდევ სხვა ასოციაციას (ორგანიზაციას) თავისი ძლიერი მფარველი ე.წ. "ქოლგა" ორგანიზაციები ჰყავს. ასეთებია: "თურქული ისლამური კულტურული ფედერაცია", დაფუძნებული 1979 წელს; იგივე "ეროვნული ხედვა", "მუსლიმური ფონდებისა და საზოგადოებების ფედერაცია", დაფუძნე-

ბული 1981 წელს და სხვ.<sup>18</sup> განსხვავებული იდეოლოგიის გამო მათი ურთიერთობები დაბაზულია, თუმცა, მათ ერთგვარად აერთიანებს სიმპათიები თურქეთის "ეროვნული კეთილდღეობის პარტიისადმი" (Milli Selamet Partisi), რომელმაც 1980 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სახელწოდება შეიცვალა და "კეთილდღეობის პარტია" (Refah Partisi) გახდა (ამჟამად პარტიისა და მისი ლიდერის ნეჯმეთინ ერბაქანის პოლიტიკური მოდვაწეობა თურქეთში აკრძალულია).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს ორგანიზაციები მიგრანტთა საზოგადოებაში ანუ იმგვარ სოციალურ გარემოში დაარსდა, რომელიც მკეთრად განსხვავდება თურქეთში არსებულისაგან. ანალოგიური საზოგადოებები თურქეთში არ არსებობს. სწორედ ეს არის მათი ერთ-ერთი თავისებურება. მათი გავლენა "მიმღებ" ქვეყანაში მცხოვრებ თურქებზე სხვადასხვაგვარია. იგი დამოკიდებულია როგორც ორგანიზაციის მატერიალურ შესაძლებლობებზე, ასევე იმაზეც, უწევენ თუ არა მას ანგარიშს (ან რა დოზით უწევენ) ქვეყნის ოფიციალური ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი სტრუქტურები.

ფაქტობრივად, ამ ორგანიზაციებში წარმოდგენილია რელიგიური ორიენტაციის თურქელი პოლიტიკური პარტიები, რაც არაორაზროვნად მიუთითებს ეკროპის "მიმღებ" სივრცეში თურქელი ისლამის პოლიტიზაციის მცდელობაზე. ეს მცდელობა უფრო წარმატებულად ხორციელდება გერმანიაში, სადაც თურქელი თემი კომპაქტურად არის განსახლებული ბერლინის, მიუნხენის, კიონის, ჰამბურგისა და სხვა ქალაქების სამრეწველო ზონებში. საფრანგეთში, სადაც თურქთა რიცხვი გერმანიასთან შედარებით ბევრად მცირეა, და იგი "მიმღებულია" პატარა კუნძულების სახით პარიზის, სტრასბურგის, ნანტის უბნებსა და შემოგარენში, ამგვარი მცდელობა ნაკლებად წარმატებულია. აქ ისლამი უფრო "რელიგიურია", უფრო "ოჯახური" და ამდენად არაპოლიტიზირებული.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში მიგრანტთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოძრაობა "სულეიმანჯი", რომლის ინიციატივითა და სახსრებით ხდებოდა პირველი თურქელი მეჩეთების მოწყობა საფრანგეთში. 1979 წელს დაარსებულმა "თურქელმა ისლამურმა კულტურულმა ფედერაციამ" თავისი მოდვაწეობა წარმართა "სულეიმანჯის" გავლენის შესასუსტებლად. ფედერაცია სარგებლობს თურქეთის რელიგიურ საქმეთა სამინისტროს სრული მხარდაჭერით. სამინისტრო აფინანსებს მას და განსაზღვრავს მისი მოქმედების სტრატეგიას. იგი მოქმედებს როგორც საფრანგეთში აკრძალულია სახვა "მიმღებ" ქვეყნებში და მისი მიზანია

თურქელი ისლამის ოფიციალური ვერსიის პროპაგანდა, რომელიც ქადაგებს დედა-სამშობლოს სიყვარულს, თურქებს შორის სოლიდარობას, სამშობლოსა და მისი კონსტიტუციის პატივისცემას. ცედერაციის მოდვაწეობა წარმატებული აღმოჩნდა, რასაც მოწმობს მისი რიგების მნიშვნელოვანი ზრდა. იგი აცხადებს, რომ ყველაზე მრავალრიცხოვნია და იმიგრანტი თურქების 60%-ს აერთიანებს, რაც ერთობ გადაჭარბებულად გვეხვენება. ერთი კია, მისი წევრების დიდი ნაწილი ორგანიზაციაში გაერთიანდა არა იდეოლოგიური, არამედ უფრო პრაგმატული (ფინანსური და სტრატეგიული) მოსაზრებებით.<sup>19</sup>

ისლამური ორგანიზაციების უმთავრესი საყრდენი იმიგრანტთა საზოგადოებაში იმამია. თავდაპირველად იმამების მომზადება, დანიშვნა ხდებოდა ორგანიზაციების მიერ, რომლებიც თავად აფინანსებდნენ მის მოდვაწეობას.<sup>20</sup> 1988 წლიდან იმამების მომზადება და მათი სამუშაოდ (მათ შორის საზღვარგარეთ) გამწევება თურქეთის რელიგიურ საქმეთა სამინისტროს მიერ ხდება. იმამის როლი და გავლენა იმიგრანტთა საზოგადოებაში მეტად მნიშვნელოვანია. იგი ყველასათვის უმაღლესი ავტორიტეტია. ის არის აგრეთვე ყოველი გადაუჭრელი დავის არბიტრი. მისი ვერდიქტი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მას უწოდებენ ჰაქიმს და ადიარებენ როგორც ბრძენსა და სამართლიანებას.<sup>21</sup>

საფრანგეთში (ევროპაში) მოქმედი ისლამური ორგანიზაციები თავიანთ ურთიერთობებს იმიგრანტებთან არეგულირებენ მეჩეთების მეშვეობით, რომლებიც ტრადიციული მეჩეთებისაგან არსებითად განსხვავდება. ესაა ეწ. "უმინარეთ" მეჩეთი, რომელიც მხოლოდ სალოცავად განვითარება. გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული მეჩეთი შესამჩნევ ტრანსფორმაციას განიცდის და, ფაქტობრივად, იმიგრანტი თურქების დამაკავშირებელი საკრებულო ხდება, რომელიც წმინდა საკულტო ფუნქციასთან ერთად კულტურულ და საგანმანათლებლო ფუნქციებსაც ითავსებს.<sup>22</sup> მეჩეთის მეშვეობით ხორციელდება იმიგრანტთა სოციალური და ფინანსური დახმარება.

საფრანგეთში (ევროპაში) ისლამური ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა ერთგვარად კინიდება მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე იმიგრანტთა მეორე თაობა გამოდის. ეს თაობა "მიმღები" ქვეყნის საზოგადოებაში უფრო ინტეგრირებულია (საუბარია ძირითადად მამაკაცებზე, რომლებიც, ქალებისაგან განსხვავდებით, უფრო თავისუფალი არიან, რადგანაც მათზე ზოგიერთი მუსლიმური აკრძალვა არ ვრცელდება). იმის გამო, რომ ამ თაობის განათლებული ნაწილი საქმაოდ კარგადაა

გარეული "მიმღები" ქვენის სახელმწიფო, სოციალურ და საემიგრაციო პოლიტიკაში, სახელისუფლებო სტრუქტურები (ყველა დონეზე) იმიგრანტების პრობლემების გადასაჭრელად სულ უფრო ხშირად ურთიერთობებს მასთან.<sup>23</sup> იმიგრანტთა მეორე თაობა უკვე განიხილება როგორც ანგარიშგასაწევი ძალა არა მარტო "მიმღები" ქვენების ხელისუფლებისათვის, არამედ უფროსი თაობისთვისაც, რომელმაც თვალნათლივ დაინახა ინტეგრაციის პოზიტიური შედეგები.

XX საუკუნის 80-იანი წლები პირველი თაობის თურქი იმიგრანტების ცნობიერებაში ერთგვარ გარდამტებს პერიოდად შეიძლება მივიჩნოთ. ამ დროიდან იწყება ძლიერი დაპირისპირება დასავლეთ ევროპის სივრცეში მოქმედ თურქულ ისლამურ ორგანიზაციებსა და თურქ იმიგრანტთა მეორე თაობას შორის. ცხოვრებამ "აიძულა" ეს თაობა "ევროპული" გამხდარიყო. ეს დაპირისპირება დღესაც არსებობს. ფაქტობრივად, ეს არის ბრძოლა არა მხოლოდ გავლენის

სათვის, არამედ მიგრანტთა "სულებისათვის". ბრძოლა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს: ინტეგრაცია თანამედროვე საზოგადოებაში თუ დახურული, განცალკევებული თემის არსებობა. მიუხედავად ისლამური ორგანიზაციების დიდი წინააღმდეგობისა, ახალგაზრდობის (ძირითადად ვაჟების) ინტეგრაციის პროცესი დაწყებულია და ამას უფროსი თაობა უკვე შეეგუა. მეტიც, მას აშკარად ეამაყება შვილების (შვილიშვილების) წარმატებები ბიზნესში, მეცნიერებაში, სპორტსა თუ პოლიტიკაში და კარგად ესმის, რომ ანატოლიის სოფლის პირობებში ამ წარმატებების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

საფრანგეთში (ევროპაში) მცხოვრები თურქები, რომლებიც ყოველთვის დიდი სიამაყით აცხადებენ, რომ ისინი ჯერ არიან თურქები და მხოლოდ ამის შემდეგ მუსლიმები, თანდათანობით უახლოვდებიან საერო და რელიგიური თანაარსებობის სტანდარტს, რომელიც ჩამოყალიბდა მაღრიბელ არაბთა საზოგადოებაში – "შინ მუსლიმი, გარეთ ევროპელი".

### შენიშვნები:

1. Gérard CHOLVY. La religion en France de fin du XVIII à nos jours. Paris, 1991.
2. Gérard CHOLVY. La religion en France de fin du XVIII à nos jours. Paris, 1991.
3. Gilles KEPEL. Les Banlieues de l'Islam. Naissance d'une religion en France. Paris. 1991.
4. გ. ანთელავა. საფრანგეთში ემიგრანტი თურქების კულტურული და რელიგიური ცხოვრების მოწყობის ერთი ასპექტი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1998.
5. R. KASTORYANO. L'identité Turque immigrée. (Migrant - Formation, 76, mars, 1989)
6. გახ. Türkiye, 30.03. 1999
7. გ. ანთელავა. დასახ. ნაშრ.
8. P. DUMONT - GEORGEON F. (ed.) La Turquie au seuil de l'Europe. Paris. L'Harmattan, 1991.
9. Islam en Europe. Aspects religieux . (Cahiers de l'Université de Lausanne, N2, 1994).
10. L'Immigration Turque en France et en Allemagne. (Colloque International. Strasbourg, 1991).
11. La Communauté Turque en Alsace. Strasbourg, 1991.
12. გ. ანთელავა. დასახ. ნაშრ.
13. R. KASTORYANO. L'identité Turque immigrée. (Migrant - Formation, 76, mars, 1989).
14. La Communauté Turque en Alsace. Strasbourg, 1991.
15. Islam en Europe. Aspects religieux . (Cahiers de l'Université de Lausanne, N2, 1994).
16. La Communauté Turque en Alsace. Strasbourg, 1991.
17. La Communauté Turque en Alsace. Strasbourg, 1991.
18. La Communauté Turque en Alsace. Strasbourg, 1991.
19. La Communauté Turque en Alsace. Strasbourg, 1991.
20. Gilles KEPEL. Les Banlieues de l'Islam. Naissance d'une religion en France. Paris. 1991.
21. გ. ანთელავა. დასახ. ნაშრ.
22. გ. ანთელავა. დასახ. ნაშრ.
23. Altan GOKALP. Les immigrés turcs en France. Une communauté jeune qui se cherche. (Migrants - Formation, 67, décembre, 1986).
24. Faruk \*EN. Cumhuriyet tarihinde Avrupa Ülkelerine göç ve bu göçün Türkiye'ye ekonomik, sosyal ve politik etkileri. (Zentrum Für Türkeistudien, Bonn, 1990).

**George Antelava**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies*

*Georgian Academy of Sciences*

## ACTIVITIES OF TURKISH ISLAMIC ORGANISATIONS IN MODERN FRANCE

The trend of significant migration from Turkey to Western Europe marked the second half of the 70th of the 20th century. France is one of the European countries where relatively large community of Turkish migrants has been established. (According to the 1991 data - 274 747 migrants). The public declaration of Islam in France is connected with the process of migration from Turkey. Muslim residents of the country had never attempted to declare their confessional origin publicly (Algerians, Moroccans and others). The establishment of Islamic organisations and their active functioning in the "host" country is due to the arrival of Turks. Their activities are aimed at strengthening Islamic mentality among migrants for withstanding the influence of foreign culture and religion.

Actually, it is far - sighted, deliberately worked out plan aimed at avoiding the integration of migrants with the community of the "host" country. The Islamic organisations had influence on the first generation of the migrants but this influence has been reduced with the appearance of the second (now the third) generation of migrants.